# ჩაის გეოგრაფია

**ნიკოლოზ კაპანაძე**

ელ-ფოსტა: Nikoloz.Kapanadze691@ens.tsu.edu.ge

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი, 0179, საქართველო

ჩაი ისეთ სასაქონლო ჯგუფს წარმოადგენს, რომელსაც დიდი რაოდენობის და სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლები ჰყავს. ჩვენს ქვეყანაში ჩაის წარმოებას დიდი პოტენციალი აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი განვითარება. ქვეყნის საშინაო ბაზრის ათვისებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ჩაის ექსპორტის ზრდას, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

კვლევის მიზანია ჩაის გავრცელების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კანონზომიერების დადგენა, მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა. განხილულია მსოფლიოში გავრცელებული ჩაის სხვადასხვა სახეობა და მათი სასარგებლო თვისებები.ასევე ჩაის გავრცელების არეალები მსოფლიოში.

ნაშრომის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია ქართული ჩაის წარმოების შესახებ ისტორიული ცნობები, ჩაის წარმოების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.